საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

საქართველოს
ადვოკატთა
ასოციაცია

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 13 აგვისტო, 2014 წელი

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ (შემდგომში – „სასწავლო ცენტრი“), წარმოდგენილი სასწავლო ცენტრის დირექტორის, ეკატერინე მრულიშვილის, სახით, და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ (შემდგომში – „ადვოკატთა ასოციაცია“), წარმოდგენილი „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის, სახით (შემდგომში – „მხარეები“), ამ მემორანდუმის ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია სამართლის პოპულარიზაციასა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

3. მემორანდუმის ამოცანები

ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივი ძალისხმევით დაგეგმონ და განახორციელონ:

3.1 იურიდიული მიმართულების ტრენინგები, სემინარები, სამეცნიერო კონფერენციები და პროექტები;

3.2 იუსტიციის სამინისტროს, სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოხელეთა, ადვოკატთა და იურიდიული თემატიკით დაინტერესებულ სხვა პირთა სწავლება მაღალკვალიფიციური, მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის მიერ რეკომენდებული, ექსპერტების მონაწილეობით;

3.2 საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და ფინანსური დახმარების მოძიების საკითხებში ურთიერთთანამშრომლობა;

3.3 საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრის მიერ ადვოკატთა ასოციაციისათვის სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, თბილისისა და ყვარლის ოფისების) გამოყოფის უზრუნველყოფა პრიორიტეტული წესით;

3.4. ამ მემორანდუმის მიზნით გათვალისწინებული სხვა სახის აქტივობები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იმოქმედებს მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე პუნქტი მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის, იურიდიულ ძალაზე ან კანონიერებაზე.

5. დასკვნითი დებულება

5.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

5.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით

5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ვახტანგ გორგასლის ქ. №24
0114, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 293 22 50
ელფოსტა: trainingcenter@justice.gov.ge
ვებგვერდი: tcj.gov.ge/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ძმები ზუბალაშვილების ქ. №36
0108, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 222 46 54
ელფოსტა: Info@gba.ge
ვებგვერდი: www.gba.ge

სასწავლო ცენტრის დირექტორი

ეკატერინე მრულიშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

ზაზა ხატიაშვილი